სტერეოტიპის შინაარსის მოდელი და მისი შემოწმება ქალებსა და მამაკაცებში

თამარ მაღლაკელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია(სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

სტერეოტიპის შინაარსის მოდელი ფსიქოლოგიური თეორიაა, რომლის ავტორია სუზან ფისკე კოლეგებთან ერთად. ამ თეორიის მიხედვით სტერეოტიპები ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი არაა, შესაძლოა არ მოგვწონდეს გარე ჯგუფი, მაგრამ პატივს ვცემდეთ მას, ან პირიქით. თეორიის ფარგლებში სტერეოტიპული ჯგუფების შეფასება ხდება სითბოსა და კომპეტენტურობის, აღქმული სტატუსის, კონკურენციის, ემოციისა და ქცევითი წინასწარგანწყობების განზომილებებით. კვლევები ჩატარებულია ამერიკაში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში. კვლევა მიმდინარეობს პოსტსაბჭოთა სივრცის ექვს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ჩემი კვლევა აღნიშნული კვლევის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავდა სტერეოტიპის შინაარსის მოდელის ქალებისა და მამაკაცების შეფასებების შედარებას. კვლევის პირველ ეტაპზე საქართველოში გამოვლენილი რვა სამიზნე ჯგუფის - სომხების, ბიზნესმენების, „ნაცები“-ს, მუსლიმების, გეიების, სტუდენტების, ღარიბებისა და ქართველების შეფასება მოხდა კვლევის მეორე ეტაპზე სითბოს, კომპეტენტურობის, ემოციისა და ქვევის განზომილებებით, ამასთან უკანასკნელი ორი განზომილება თავის მხრივ დაიყო დადებითი და უარყოფითი ემოციის განზომილებად და დადებითი და უარყოფითი ქცევის განზომილებად. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად ქალები, მამაკაცებთან შედარებით მეტად გამოხატავდნენ დადებით დამოკიდებულებას შესაფასებელი ჯგუფებისადმი. ქალებისა და მამაკცების მიერ აღნიშნული ჯგუფების შეფასებისას უმეტეს შემთხვევაში მონაცემებს შორის განსხვავება არ გამოვლენილა. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, თუმცა მცირე განსხვავება გამოვლინდა და შესაბამისად კვლევის ჰიპოთეზა დადასტურდა სითბოსა და დადებითი ემოციის განზომილებაში „ნაცები“-ს მიმართ, უარყოფითი ემოციის განზომილებაში ბიზნესმენების მიმართ; ღარიბების მიმართ დადებითი ქცევა მამაკცებმა მეტად იწინასწარმეტყველეს, ხოლო მუსლიმების მიმართ უარყოფითი ქცევა კი ქალებმა მეტად

იწინასწარმეტყველეს. შედეგები თანხვდება, როგორც ქვეყნის სოციო-პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებებს, ასევე გენდერული ლიტერატურისა და კვლევების ხშირად ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს. სასურველია აღნიშნული კვლევის უფრო დიდ შერჩევაზე ჩატარება, რამაც შესაძლოა უკეთ ასახოს ქვეყანაში ქალებისა და მამაკაცების დამოკიდებულება საკუთარი თუ გარე ჯგუფებისადმი, რაც შესაძლოა არ გამოვლინდა ჩემს კვლევაში.